

ზეპედე შატბერაშვილი
ვახტანგ შატბერაშვილი
ვახტანგ ნიკოლაიშვილი

ტყემლარას პრინჯაოს ხანის სამარხები

ტყემლარას ყორღანული ველი მდებარეობს ქვემო ქართლში, თეთრიწყაროს რაიონში, ბე-დენის მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე, მდ. ჭივჭავის სამხრეთით. იგი ჩრდილო-დასავლე-თიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისკენაა დაფერდებული, ველის აღმოსავლეთით შუა საუკუნეე-ბის მცირე ეკლესია, ჩრდილო-აღმოსავლეთით ასევე შუასაუკუნეების ნასოფლარი ტყემლარა, გარშემო კი რეინიგზა უვლის. ამჟამად მისი დიდი ნაწილი მოქცეულია ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის № 2 ნავთობსაქაჩი სადგურის ტერიტორიაზე.

1987-88 წლებში, არქეოლოგიური კვლევის ცენტრის მარაბდა-ახალქალაქის ექსპედიცია (ხელმ. ზ. შატბერაშვილი) ამ მიდამოებში ადრებრინჯაოს ხანის ორი ყორღანი შეისწავლა [შატბერაშვილი 1997: 63-65]. 2002-2003 წლებში, ბაქო-თბილისი-ჯეიპანის ნავთობსადენის მშენებლობისას ნავთობსაქაჩი სადგურისათვის გათვალისწინებულ ტერიტორიაზე, ტყემლარას ველზე, არქეოლოგიურ სამუშაოებს აწარმოებდა არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თეთრიწყაროს ექსპედიცია (ხელმძღვ. ზ. შატბერაშვილი), რომელმაც ბრინჯაოს ხანის რამდენიმე სამარხი შეისწავლა. მცირე სიმაღლის გამო ყორღანები ჩრდილო-დასავლეთიდან თითქმის შეუმჩნეველი იყო. როგორც ჩანს, ჩამორეცხილმა მიწამ მათი ჩრდილო-დასავლეთი მხარე დამარხა. ყორღანები ჯგუფურად იყო განლაგებული, ზოგიერთი მათგანი ერთმანეთთან ქვის დაბალი ყრილებით (ბილიკებით) იყო დაკავშირებული. 2002 წელს გაითხარა 5 ყორღანი და მათ შორის დამაკავშირებელი ბილიკი [შატბერაშვილი 2003], 2003 წელს კი 2 ყორღანი და 2 ქვაყრილიანი ორმოსამარხი [შატბერაშვილი და სხვ. 2005]. თითოეულ სეზონზე სამარხებს დამოუკიდებელი საველე ნომრები ეძლეოდა. წინამდებარე წერილში ჩვენ შევეცადეთ გამოგვესწორებინა ეს შეცდომა და ერთიანი ნუმერაცია მიგვეცა ყველა მათგანისათვის. №№ 1-2 1987-88 წლებში გათხრილი ყორღანებია, 2002 წელს გათხრილმა №№ 1, 2, 3, 4, 5 ყორღანებმა შესაბამისად მიიღეს 3, 4, 5, 6, 7 ნომრები (№№ 5, 6, 7 მცირე ზომისა და ცარიელი იყო), 2003 წელს შესწავლილი სამარხები კი შემდეგნაირად დაინომრა: № 13 ყორღანმა (ძალზე დაზიანებული და, სავარაუდოდ, გაძარცვული იყო) მიიღო № 8, ხოლო № 16-მა კი № 9; ორმოსამარხებმა № 1 და № 2 შესაბამისად 10 და 11 ნომრები.

ტყემლარას ველზე ყორღანები ორ სხვადასხვა პერიოდში, კერძოდ, ადრებრინჯაოს ხანასა და შუაბრინჯაოს ხანის მინურულში აუგიათ.

ნავთობსადენის მშენებლობისას შესწავლილი სამარხების აღწერამდე ყურადღებას შევაჩერებთ 1987-88 წლებში გათხრილ ორ, № 1 და № 2 ყორღანზე. ორივე მათგანი ქვაყრილიანი იყო და დიდი ზომებით არ გამოირჩეოდა – მათი მაქსიმალური დიამეტრი 15 მეტრს აღწევდა, ორმოები ოვალური ფორმისა იყო (№ 1 – 3,5×3,8 მ, ს 1,5 მ; № 2 – 3,8×3,6 მ). № 1 ყორღანს ყრილი თითქმის მთლიანად გადაცლილი ჰქონდა. ორივე ყორღანის ყრილში ობსიდიანის ანატკეცები აღმოჩნდა.

№ 1 ყორღანში აღმოჩნდა: 1. ქოთანი, შავპრიალა, თხელკედლიანი, კეცი მოყავისფრო-მორუხოა, ცილინდრულყელიანი, სფერულმუცლიანი, ყურიანი, (ტაბ. I₁); 2. ტოლჩა, შავპრიალა, კეცი მოყავისფრო-მორუხო, ცილინდრულყელიანი, სფერულმუცლიანი, ყურიანი, ყელისა და მხრის მიჯნაზე სამი განივი, პარალელური ზოლია ამოღარული (ტაბ. I₄); 3. ტოლჩა, შავპრიალა, კეცი რუხია. ტანი ბიკონუსურია, ყური მხარზეა მიძერნილი (ტაბ. I₃); 4. ტოლჩა, შავპრიალა, კეცი მო-

ყავისფრო-მორუხო, შემორჩენილია ყელის ფრაგმენტი (ტაბ. I₅); 5. ლახტის თავი – ქვიშაქვის, მსხლისებური ფორმის (ტაბ. I₁).

№ 2 ყორღანში აღმოჩნდა: 1. დერგი, შავპრიალა, შიგნიდან აგურისფერი, ორყურა, ბიკონუ-სურტანიანი. მხარი შემკულია ირიბი ხაზებით შევსებული სამკუთხედებითა და თევზიფხური ორნამენტით (ტაბ. I₆); 2. დერგი, რუხად გამომწვარი, ჰქონდა ბიკონუსური ტანი, მხარზე ამოღა-რული იყო ორი პარალელური ხაზი (ტაბ. I₈); 3. ქოთანი, რუხეკეციანი. ტანი ბიკონუსურია, ყური მხარზეა მიძერწილი. მხარზე ორ პარალელურ ხაზს შორის ამოღარულია ორი ზიგზაგისებური ხაზი (ტაბ. I₇); 4. კოჭობი, ვარდისფერი, ფართომუცლიანი, უყურო (ტაბ. I₉).

ყორღანი № 3 (2002 წლის № 1) ქვა-მინა ყრილიანი, წრიული ფორმისა, d – 22,5 მ, ყრილის მაქ-სიმალური h-1,4 მ. ქვაყრილის ჩრდილოეთ ნაწილში გამოიკვეთა ქვანრე (d-3,3 მ). ქვაყრილში აღმოჩნდა: ობსიდიანის ანატკეცი – 233 ც. (მათ შორის 8 რეტუშირებული), ანამტვრევი – 3 ც., საფხეცი – 4 ც., ნუკლეუსი – 5 ც., ლამელა – 13 ც., სახვრეტი – 1 ც., სახოკი – 1 ც., საჭრისი – 7 ც., ხონისებური იარაღი – 8 ც., შალაშინისებური იარაღი – 1 ც., ზურგიანი დანა – 51 ც., დანა-საფხე-კი – 1 ც.

ყორღანის ცენტრალურ ნაწილში, 1,4 მ-ის სიღრმეზე, შავი მინის ფენაში, მოყვისფეროდ და შავად გამომწვარი, გაპრიალებული, ობდისიანის მინარევებიანი კერამიკის სამი ფრაგმენტი აღ-მოჩნდა. ყორღანში დასაკრძალავი კამერა არ გამოვლენილა, იგი უორმო უნდა ყოფილიყო.

ყორღანი № 4 (2002 წლის № 2 ყორღანი) – ქვა-მინაყრილიანი, წრიული ფორმისა იყო, d – 23 მ, ყრილის h – 1,23 მ (ტაბ. II_{1,2}). იგი № 3 ყორღანის შემდეგ უნდა აეგოთ (მისი ყრილის აღმოსავ-ლეთი ნაწილი მესამე ყორღანის ყრილზე გადადიოდა). ქვის ჯავშანი კიდეებისაკენ 0,3-0,4 მ-ის სიმძლავრისა, ცენტრში – 0,6-0,8 მ (ტაბ. II_{1,2}).

ყორღანის ჰუმუსის ფენაში აღმოჩნდა შუასაუკუნეებისათვის დამახასიათებელი კერამიკის ფრაგმენტები. ზედაპირიდან 0,4-1,2 მ-ის სიღრმეზე, ჰუმუსსა და ყრილში ობსიდიანის იარაღი ჩნდებოდა: 1) ანატკეცები – 142 ც., 2) ანამტვრევები – 19 ც., 3) ნუკლეუსები – 21 ც.), 4) ლამელა 24 ც., 5) რეტუშირებული ანატკეცები – 24 ც., 6) ხონისებური იარაღი – 7 ც., 7) ანკესისებური ია-რაღი – 3 ც., 8) ზურგიანი დანა – 14 ც., 9) სახოკი – 11 ც., 10) სახვრეტი – 2 ც., 11) საჭრისი – 2 ც., 12) საფხეცი – 13 ც., 13) ქუსლამოღარული ისრისპირი – 1 ც.

ყორღანის ცენტრში გამოიკვეთა ოთხუთხა ფორმის, თიხნარში ამოჭრილი დასაკრძალავი კამერა (h – 1,75 მ, d – 4,2×3,2 მ). იგი სავარაუდოდ, ხით იყო გადახურული, შემდეგ კი ქვის ჯავ-შნით დაუფარავთ და თიხით მოუტკეპნიათ.

კამერის თავზე, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, აღმოჩნდა ჩაშვებული სამარხი (სავარა-უდო ზომები – 1,5×1,2 მ) (ტაბ. III₂). მიცვალებული დაკრძალული იყო მარცხენა გვერდზე, თავით დასავლეთით. თავი და ზედა კიდურების ნაწილი ყვითელ თიხნარზე ესვენა, ქვედა კიდურები კი ქვაყრილზე. ჩონჩხის ზედა ნაწილი კამერის პირიდან 0,3 მ-ის, ქვედა კი 0,5-0,6 მ-ის სიღრმეზე მდებარეობდა და აღმოსავლეთისაკენ იყო დაქანებული. ძვლები ცუდად იყო დაცული.

ჩაშვებულ სამარხში აღმოჩნდა: 1) სატევარი, ბრინჯაოსი, ყუნწიანი, მხრებდაქანებული, ოდ-ნავ შესამჩნევი ქედით (ტაბ. III₄); 2) ცული, ქვიშაქვის, კარგად დამუშავებული. ყუა გაბრტყელე-ბულია, პირი ოვალურია, ფხიანი (ტაბ III₆); 3) ტოლჩა, მოშავოდ გამომწვარი თიხის, თხელკედლი-ანი, მოყავისფრო სარჩულით. პირგადაშლილი, ყელი თითქმის ცილინდრული, მხრებისაკენ ოდ-ნავ გაფართოებული, მუცელი – სფერული. კალთა ძირისაკენ მკვეთრად შევიწროვებულია, ძირი – ბრტყელი. ყური მხარსა და მუცელზეა დაძერწილი. ყურის მოპირდაპირე მხარეს ცერა თითის ანაბეჭდის ზომის ფოსო შეიმჩნევა. ყელისა და მხარის შეერთების ადგილზე ამოღარული სარ-ტყელი ემჩნევა (ტაბ. III₃); 4) ქოთანი, შავად გამომწვარი, პრიალა ზედაპირიანი, ყავისფერსარჩუ-ლიანი, თხელკედლიანი. პირი გადაშლილია, ყელი თითქმის ცილინდრულია, მუცელისაკენ ოდნავ გაფართოებული, მუცელი სფერულია, მხარზე ცერა თითის ანაბეჭდის ზომის ერთი ფოსოა და-ტანილი. მხარსა და ყელს ყოფისამოღარულ ზოლებს შორის დატანილი ფოსოებისაგან შედგენი-ლი სარტყელი. სარტყლიდან მუცელისაკენ ეშვება წვრილი ფოსოებით შედგენილი, ფოთლისებრი

შვერილები, რომლებიც ამოღარული ხაზებითაა შევსებული (ტაბ III₁); 5) ტოლჩის ყელგვერდის ფრაგმენტი, შავპრიალა, მოყვითალო-მორუხო სარჩულიანი. ჭურჭელს გადაშლილი პირი ჰქონდა. მხარზე ცერა თითის ანაბეჭდის ზომის ფოსო ემჩნევა, ფოსოს ქვემოთ ამოღარული ხაზები შეიმჩნევა (ტაბ III₈); 6) ტოლჩების პირისა და ყელის ფრაგმენტები (3 სასმისი). შავპრიალა, მოყავისფრო-მორუხო სარჩულიანი, სამივე პირგადაშლილია. ყელი თითქმის ცილინდრულია; ორ მათგანს ყური ყელსა და მხარზე ჰქონდათ მიძერწილი (ტაბ. III_{2,5,7}).

დასაკრძალავი კამერის (ტაბ. II_{4,5}) იატაკი მოტკეპნილი იყო. ცენტრში, თიხნარზე, დანახშირებული წნულის (ლასტის) ანაბეჭდები იყო შემორჩენილი. სამარხის ძირიდან 1,4 მ-ის სიმაღლეზე, კედლების გასწვრივ, 0,6 მ-ის სიგანე თიხის ბაქანი იყო გამართული, რომლის დასავლეთ მხარეს ბრინჯაოს ფოთლისებრი დანა აღმოჩნდა. იატაკის N და S მხარეს, კლდოვან დედაქანში გაჭრილი იყო ორი თხრილი ($2,5 \times 0,5 \times 0,6$ მ). თხრილებში ხის ურმის თითო ბორბალი და ღერძის ნაწილი იყო ჩაწყობილი. მის გასწვრივ, თხრილებსა და იატაკზე თიხის რამდენიმე ჭურჭელი – დერგები და ტოლჩები ელაგა. მიცვალებული სამარხში არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია, რომ კამერის იატაკზე აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტების ერთი ნაწილი ჩაშვებული სამარხის ჭურჭელს ეკუთვნოდა, ხოლო ზედა ფენებში კი სამარხის იატაკზე აღმოჩენილი ჭურჭლების ფრაგმენტებსაც ვხვდებით, რაც, შესაძლოა, სამარხის გაძარცვაზე მეტყველებს.

დასაკრძალავ კამერაში აღმოჩნდა: 1) ურმის ფრაგმენტები, ხე დანახშირებულია, გადასულია მიწაში. მოხერხდა ბორბლებისა და ღერძის დაფიქსირება და ლაბორატორიული დამუშავება. ლაბორატორიული სამუშაო შეასრულა ნინო კალანდაძემ, რეკონსტრუქცია - ნინო ოქრუაშვილმა (იხ. ტაბ II₅); 2) წნულის დანახშირებული ფრაგმენტები; 3) დანა, ბრინჯაოსი, პატინირებული, დაზიანებული, ფოთლისებური ფორმის (ტაბ. III₁₄); 4) ტოლჩა, შავპრიალა, მოყავისფრო სარჩულიანი, პირი მკვეთრად გადაშლილია, ტანი – ბიკონუსური, ყური მხარზეა დაძერწილი. მხარი შემკულია ე.წ. მარგალიტებისაგან შედგენილი ორი სარტყლით, რომელთა შორის რელიეფური ზოლია მოქცეული. მუცელზე ოდნავ შესამჩნევი ნიბო აქვს. ძირი ბრტყელია (ტაბ. III₁₂); 5) დერგი, მოვარდისფრო-მოყავისფრო, პირგადაშლილი, ბაკო მომრგვალებული, ყელ დაბალი, მუცელი სფერულია, ძირი მომრგვალებული (ტაბ IV₂); 6) დერგი, მოშავო მორუხო, ორყურა; ბაკო მომრგვალებულია, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული. ორი ოთხკუთხა განივივეთიანი ყური მხარზეა დაძერწილი. ძირი ბრტყელია. ყურის თავების თრივე მხრიდან გამოდის მორკალური რელიეფური ზოლი, რომელთა შორის ასევე რელიეფურადაა გამოსახული დაკლაკნილი თითო გველი. ცალ მხარეს, გველის თავიდან ჭურჭლის ყურებამდე ორი რელიეფური კოპია (ტაბ. IV₁); 7) დერგი, მორუხო-მოშავო, ორყურა; პირი გადაშლილია, ბაკო მომრგვალებული, ყელი ცილინდრული, მუცელი სფერული, ძირი ვიწრო. ყურები მხარსა და მუცელზეა დაძერწილი (ტაბ. IV₃); 8) ქოთანი, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი, ცალყურა. პირი გადაშლილია, ბაკო მომრგვალებული, ყელი გამოყოფილია ამოღარული ხაზით. ტანი ოდნავ გამობერილია, ძირისაკენ ბიკონუსური, კალთა მოკლე და მკვეთრად შენეულია, ძირი ბრტყელი. ყური ტანზეა დაძერწილი. ყელის ქვემოთ და წიბოს ზემოთ ჭურჭელს გასდევს პორიზონტული, ამოღარული ხაზების რამდენიმე რიგი. ვერტიკალურ ხაზებს შორის ამოკანრული ხაზებითაა გადმოცემული ბადისებური ორნამენტით შევსებული რომბები (ტაბ. III₉); 9) ქოთანი, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი, პირი გადაშლილია, ყელი თითქმის ცილინდრული – ქვემოთკენ გაფართოებული, მუცელი სფერული, ძირი – ვიწრო და ბრტყელი. ყური მხარსა და მუცელზეა დაძერწილი. მხარი გოფრირებულია – ემჩნევა ექვსი ამოღარული ხაზი (ტაბ. III₁₀); 10) ტოლჩა, შავპრიალა, ყავისფერსარჩულიანი; პირი გადაშლილია, ყელი – ცილინდრული, მუცელი – სფერული, ძირი – ბრტყელი. ყური ყელსა და მუცელზეა მიძერწილი, მხარი გოფრირებულია – ამოღარული ხაზები ჭურჭელს ყელსა და მუცელზე გასდევს, ყურთან კი შვეულად ეშვება ძირისაკენ (ტაბ. III₁₄); 11) ქოთანი, შავპრიალა, ნაწილობრივ აღდგენილი, პირი გადაშლილია, მუცელი სფერული, მხარზე დაუყვება ორი, ამოღარული, განივი ზოლი, რომლის ქვემოთაც შეინიშნება ამოღარული, დამრეცი ხაზები. ყური მხარზეა მიძერწილი (ტაბ. III₁₁); 12) დერგი, მოშავო-მორუხო, ორყურა, პირი გადაშლილია, ყელი ცილინდრული, ოდნავ შეზ-

ნექილი, მუცელი სფერულია, ძირი ვიწრო. ზეანეული ყურები მხარზეა დაძერნილი. მხარზე 6 რელიეფური კოპია (ტაბ. IV₄).

№№ 1, 2 და 4 ყორდანებში აღმოჩნდა სხვადასხვა მასალისა და დანიშნულების ნივთი, რომელთაგან უპირველეს ყოვლისა განვიხილავთ კერამიკულ ნაწარმს. სამივე სამარხში მოპოვებული კერამიკის აბსოლუტური უმრავლესობა შავად გამომწვარი და ნაპრიალებია, თუმცა გამოირჩევა მცირე ზომის ჭურჭლის ერთი ჯგუფი — ბედენური კულტურისათვის დამახასიათებელი, ნატიფი, თითქმის სარკისებურად ბზინვარე ტოლჩები და ქოთნები — რომელიც №№ 1 და 4 ყორდანებში აღმოჩნდა.

ტოლჩებში გამოიყოფა: 1) მაღალცილინდრულყელიანი, სფეროსებურმუცლიანი (ტაბ. I₂ – ყორდან № 1; ტაბ. III₁₃ – ყორდან № 4, ძირითადი სამარხი); 2) დაბალყელიანი, სფეროსებურმუცლიანი (ტაბ. III₃, ყორდან № 4, ჩაშვებული სამარხი); 3) ბიკონუსური ტოლჩა, რომლის ტანის მაქსიმალური დიამეტრი მის სიმაღლეზე მეტია (ტაბ. III₁₂, ყორდან № 4, ძირითადი სამარხი); 4) ბიკონუსურტანიანი გრძელმხრიანი, მოკლეკალთიანი (ტაბ. I₄, ყორდან № 1). ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ჭურჭელი მხოლოდ ბედენურ კომპლექსებში გვხვდება [გობეჯიშვილი 1981: 62-68; დედაბრიშვილი 1979: 44-47].

ქოთნები ტოლჩებზე მოზრდილია და ფორმით მათი მსგავსია: 1) № 4 ყორდანის ჩაშვებულ სამარხში აღმოჩნდილ უყურო ქოთანს დაბალი, ცილინდრული ყელი და სფეროსებური ტანი აქვს (ტაბ. III₁); 2) № 4 ყორდანის ძირითად სამარხში ცალყურა, ოდნავ გამობერილ მუცლიანი, მოკლე კალთიანი და ბრტყელძირიანი, ორნამენტირებული ქოთანია (ტაბ. III₉); 3) №№ 1 და 4 ყორდანებში ცილინდრულყელიანი, სფეროსებურტანიანი, ცალყურა ქოთნებია (ტაბ. I₂; III₁₀).

ცალკე დგას № 2 ყორდანის, ბედენურ ჭურჭელთან შედარებით უხეშად დამუშავებული, ბიკონუსურტანიანი, ცალყურა ქოთანი (ტაბ. I₇), რომელიც ბედენურ კომპლექსებში ნაკლებად ჩანს გავრცელებული და უფრო მარტყოფული კომპლექსებისათვის უნდა იყოს დამახასიათებელი.

№ 2 ყორდანში მიკვლეული ორი ბიკონუსური ფორმის დერგი მარტყოფული ყორდანებისათვისაა დამახასიათებელი (ტაბ. I_{6,8}). მართალია, ერთი მათგანის ფორმის ზუსტი აღდგენა ვერ მოხერხდა, მაგრამ მეორის ანალოგები მარტყოფის № 2 [ჯაფარიძე 1998: 15-16] და თრიალეთის XII [ჯორჯიკაშვილი, გოგაძე 1974: 55] ყორდანებიდანაა ცნობილი. ამგვარად, ტყემლარას № 2 ყორდანის მასალა მარტყოფულია.

ტყემლარას ველზე მოპოვებული დანარჩენი დერგები № 4 ყორდანის ძირითადი სამარხიდან მომდინარეობს. მოვარდისფრო-მოყავისფროდ გამომწვარი, პირგადაშლილი, დაბალყელიანი, სფერულმუცლიანი, ძირმომრგვალებული დერგი (ტაბ. II₂) ინტერესს იწვევს იმით, რომ განსხვავდება ბედენური ყორდანების შავპრიალა ნაწარმისაგან და შედარებით იშვიათად გვენდება ამ კულტურული წრის ყორდანებში. ჩვენთვის მისი ზუსტი ანალოგი ცნობილია ბედენის № 10 ყორდანიდან [გობეჯიშვილი 1981: 105, სურ. 41]. მარტყოფის № 5 ყორდანში მიკვლეულია ამავე ფორმის, ნითლად გამომწვარი დერგი, რომელიც აღნერილი ეგზემპლარისაგან ტანზე შემორჩენილი მოხატულობის კვალით განსხვავდება [ჯაფარიძე 1998: 45].

სამი დერგი შავად გამომწვარი და შავად ნაპრიალებია, ორყურაა და ცილინდრული ყელი აქვს (ტაბ. IV_{1,3,4}). ასეთი ფორმის დერგები ბედენური კომპლექსებისათვისაა დამახასიათებელი (მაგ. იხ. ცნობის № 1 ყორდანი) [დედაბრიშვილი 1979: თაბლ. XXII]. ერთი დერგის ყურის თავების ორივე მხრიდან გამოდის მორკალური რელიეფური ზოლი, რომელთა შორის ასევე რელიეფულადაა გამოსახული თითო, დაკლაკნილი გველი: ჭურჭლის ერთ მხარეს - გველის თავისა და ყურების გასწვრივ ორი რელიეფური კოპია დატანილი (ტაბ. IV₁), მეორე დერგზე კი ყურებს შორის, მხარზე 6 კოპია დაძერნილი (ტაბ. IV₄).

№ 1 და № 4 ყორდანებში აღმოჩნდა ქვიშაქვის ლახტისთავი, ამავე მასალის გახვრეტილი ცული, ბრინჯაოს სატევრისპირი და ბრინჯაოსვე მცირე ზომის დანა, აქვე აღსანიშნავია ობიექტის ფუძეამოდარული ისრისპირი, რომელიც № 4 ყორდანის ყრილში იქნა ნაპოვნი.

ტყემლარას № 4 ყორდანის ჩაშვებულ სამარხში აღმოჩნდილი მსხლისებური, ცილინდრულ-ნახვრეტიანი ლახტისთავი ინსიგნია უნდა იყოს. მსგავსი ლახტისთავები მიკვლეულია ადრეულ

ყორდანებში: თრიალეთის XL (ფარავნის № 3) ყორდანსა და საპიტიახშოში (შემთხვევითი აღმოჩენა) [ჯორჯიაშვილი, გოგაძე 1974: 13, 59-60]. ასეთივე ნივთებია მოპოვებული მარტყოფის № 5 (ბე-დენური), ზილიჩის № 2, ანაგის № 1, აგრეთვე სტეფანაკერტის ყორდანებში [ჯაფარიძე 1998: 115].

ქვის გახვრეტილი ცულები საქართველოში საკმაოდ იშვიათია. ტყემლარას № 4 ყორდანის ჩაშვებულ სამარხში მოპოვებული ცულის ყველაზე ახლო პარალელი მარტყოფის № 1 ყორდანის (უადრესი ყორდანია) ყრილში, კამერის თავზე აღმოჩენილი ასეთივე იარაღია [ჯაფარიძე 1998: 14]. მსგავსი ცულები ჩრდილოეთ კავკასიონაცაა ცნობილი [მუნაევ 1961: 76], თუმცა ისინი მაინც განსხვავდებიან ზემოთ აღწერილი ნივთისაგან – მათი სატარე ხვრელი უფრო ზემოთ, ყუასთან ახლოსაა.

ტყემლარას №4 ყორდანის ჩაშვებულ სამარხში მოპოვებული ბრინჯაოს სატევრისპირი ყველაზე მეტად ბაკურციხის ეტლიან, ბედენურ ყორდანები აღმოჩენილი იარაღის მსგავსია [პიცხელაური 1982: 18]. დაქანებული მხრები და ვიწრო პირი მას მკვეთრად განასხვავებს სხვა ადრეულ ყორდანებში მოპოვებული სატევრებისაგან. ასეთივე ნივთია მოპოვეული ჯერ გამოუქვეყნებელ, სოფ. ხანდაკის მახლობლად, კენჭიყარას ყორდანშიაც (ზ. შატბერაშვილის გათხრები).

ბედენური კულტურის ყორდანებისათვის უმნიშვნელოვანესი, დამახასიათებელი და სხვა ადრეული ყორდანებისაგან განმასხვავებელი ნიმანია ხის ეტლის სამარხში ჩატანება. ტყემლარას № 4 ყორდანის ძირითად სამარხში აღმოჩენილია ეტლის ღერძისა და ორი ბორბლის ფრაგმენტები, ხე დანახშირებულია, გადასულია მიწაში და მისი ფორმის აღდგენა საკმაოდ რთულია. როგორც ჩანს, თავიდანვე, ოთხთვალა ეტლის სწორედ ეს ნაწილი იყო ჩატანებული. ბედენურ ყორდანებში გვხვდება როგორც მთლიანი ეტლები (მაგ. ბედენის №№ 5, 8, 10 ყორდანები) [გობეჯიშვილი 1981: 42, 39, 99], ასევე მათი ნაწილები (მაგ. ნიმრის №№ 1 და 2 ყორდანები) [დედაბრიშვილი 1979: 22, 40]. საინტერესოა აღინიშნოს, რომ პალინოლოგიური კვლევის შედეგად, ტყემლარას № 4 ყორდანში მიკვლეულ ურმის ბორბალზე აღმოჩნდა მრავალძარღვას მტვრის მარცვლების დიდი რაოდენობა, რაც, მკვლევარის აზრით, იმაზე მოუთითებს, რომ ურემი ფუნქციონირებდა [ყვავაძე 2003: 6]. გამოთქმულია აზრი, რომ, როგორც ბედენური, ისე თრიალეთური ეტლები ყოფაში არ გამოიყენებოდა და საკულტო დანიშნულებისა იყო – მათ სამარხებში ათავსებდნენ [ჯაფარიძე 1981: 99]. სავარაუდოა, რომ ეტლები სწორედ ბედენური ყორდანებისათვის იყო დამახასიათებელი და თრიალეთურ კულტურაში ინერციით გადავიდა, ისიც მხოლოდ მის ადრეულ მონაკვეთში. უნდა აღინიშნოს, რომ ბ. კუფტინის შესწავლილი XXIX ყორდანიც, რომელიც თრიალეთურად მიიჩნეოდა [ჯორჯიაშვილი, გოგაძე 1974: 22, 101-102], ბედენურ ყორდანებს მიეკუთვნება.

ადრეული კულტურის არეალი საქართველოს ტერიტორიაზე მოიცავს ქვემო ქართლს, შიდა ქართლსა და კახეთს. იგი გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთშიც. ამ კულტურის ბედენურ და მარტყოფულ ჯგუფებს აერთიანებს რეგიონისათვის სრულიად ახალი მოვლენა – მიცვალებულების ყორდანებში დაკრძალვა. თუმცა, დაკრძალვის წესში არის ერთი არსებითი განსხვავება: ბედენურ ყორდანებში გვხვდება ეტლი ან საკაცე, რაც სრულიად უცხოა მარტყოფულისათვის. განსხვავებულია კერამიკაც – მარტყოფული ყორდანებისათვის დამახასიათებელია მსხლისებური ფორმისა და ბიკონუსურტანიანი, ორყურა, შავზედაპირიანი დერგები, აგრეთვე შავი ფერის მოზრდილი, ცალყურა ტოლჩები, რომლებიც გარკვეულ მსგავსებას ავლენენ მტკვარ-არაქსულ კერამიკასთან [მირცხულავა და სხვ. 1992: 126]. ბედენური კერამიკა ნატიფია, მას ახასიათებს კეცის სითხელე და სიმკვრივე, ზედაპირის თითქმის მეტალისებური ბზინვარება (მაგალითისათვის იხ. № 4 ყორდანის მასალა).

საკამათო საკითხია ბედენური და მარტყოფული კულტურების ქრონოლოგიური ურთიერთობა. ზოგიერთი მკვლევარი მარტყოფულს ბედენურზე უფრო ადრეულად თვლის, სხვების აზრით, ბედენური უფრო ადრეულია. არსებობს მოსაზრება, რომ მტკვარ-არაქსული კულტურის ფინალური ეტაპის სინქრონულად არსებობს მარტყოფული და ბედენური ძეგლებიც (ამ საკითხთან დაკავშირებული ღიტერატურა იხ. [ორჯონიკიძე 2002: 23]). საკითხს ნათელი ვერც შიდა ქართლში შესწავლილმა იმ ძეგლებმა მოჰყვინა, სადაც მტკვარ-არაქსული, მარტყოფული და ბედენუ-

რი მასალა გამოვლინდა. საინტერესოა დმანისის № 1 ყორღანი, რომლის ინვენტარი მსგავსებას ავლენს როგორც ბედენურ, ისე მარტყოფულ ნაწართან [Кахиани и др. 1991: 66]. საყურადღებოა ხოვლეს ყორღანი [ჯაფარიძე 1998 :148-150], სადაც ქვაყრილის ცენტრალურ ნაწილში, ერთმანეთის თავზე, ორი ჩაშვებული სამარხი იყო გამართული, ძირითადი სამარხი კი უინვენტარო იყო. ქვედა, № 2 სამარხში მიკვლეული კერამიკა ბედენური იყო, ზედა, № 1 სამარხში აღმოჩენილი მასალა კი უფრო მარტყოფულ იერს ატარებს, ვიდრე მტკვარ-არაქსულს [შდრ. ჯაფარიძე 1998: 148-150].

ამგვარად, ტყემლარას ველზე შესწავლილი, ინვენტარიანი ყორღანები №№ 1, 2, 4 ადრეული ყორღანების რიცხვს მიეკუთვნება: № 2 ყორღანის კერამიკა მარტყოფულია, №№ 1 და 4 კი ბედენური კომპლექსია, რომელთა შორის ქრონოლოგიური სხვაობის დადგენა ჭირს. სამივე მათგანი ძვ.წ. III ათასწლეულის შუახანებით თარიღდება.

2003 წლის ივლისში, ტყემლარას ველზე არქეოლოგიური კვლევა განახლდა. გათხრები, ამჯერად, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში ჩატარდა. შესწავლილ იქნა ოთხი სამარხი, აქედან ორი ყორღანი (№№ 8 და 9) და ორიც (№№ 10 და 11) ორმოსამარხი.

სამარხი № 10 (2003 წლის № 1) წარმოადგენდა მოყვითალო ფერის თიხნარ ნიადაგში გაჭრილ, ოთხკუთხა, კუთხეებმომრგვალებულ ორმოსამარხს, რომლის ქვანრე დარღვეული იყო (ზომები: 1,10×1,20×0,40მ). მიკვალებულის ჩონჩხის ძვლები დაშლილი იყო. იგი მარცხენა გვერდზე დაუკრძალავთ, თავით ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ. სამარხში, ჩრდილო კედელთან ცხვარი ჩაუტანებითა (ტაბ. V₁).

სამარხში აღმოჩენდა: 1) ქოთანი, მოყავისფრო მოშავო, კეცი მოშავო-მონაცრისფრო, ქვიშანარევი. ყელი — დაბალია, ცილინდრული, მუცელი — სფერული, ძირისკენ თანაბრად დაქანებული, ძირი — ბრტყელი (ტაბ. V₃); 2) ქოთანი, მოყავისფრო-მონაცრისფრო. კეცი მოყავისფროა, ქვიშანარევი. პირი გადაშლილი ჰქონდა, ყელი — დაბალი, გამოყოფილი, მუცელი — სფერული, ძირი ბრტყელი (ტაბ. V₄); 3) თიხის ჭურჭლის (ქილის) ფრაგმენტები; 4) კოჭობი, ხელით ნაძერწი, კეცი მოყავისფროა, პირს ქვემოთ კოპი ემჩნევა (ტაბ V₃); 5) საკინძი ბრინჯაოსი, პირამიდისებურ-თავიანი, ნაკლული; 6) დანა, ობსიდიანის; 7) იოტები, თეთრი ფერის.

სამარხი № 11 (2003 წლის № 2) ქვაყრილიანი ორმოსამარხია (ზომები: 180×120×50 სმ). მის სამხრეთ აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩენდა ცხვრის მთლიანი ჩონჩხი, ჩრდილო-დასავლეთით კი ძროხის ჩონჩხი (ნეკნები და თავის ქალა). დასავლეთ ნაწილში იდო თიხის დაშლილი სამი ჭურჭელი. ძროხის ჩონჩხზე იდო ბრინჯაოს ყუნწიანი სატევრისპირი. სამარხის თიხატკეპნილ იატაკზე აღმოჩენდა კერამიკის ნატეხები (ტაბ. V₂).

სამარხში აღმოჩენდა: 1) სატევარი, ბრინჯაოსი, პატინირებული, ყუნწიანი, თავთან სამანჭვლე ხვრელი აქვს (ტაბ. V₈); 2) ქოთანი, მოშავოდ გამომწვარი, ნაკლული. კეცი მოყავისფრო-მოშავოა, სილანარევი. პირი გადაშლილია, ბაკო-მომრგვალებული, ყელი — გამოყოფილი, ცილინდრული, მუცელი — სფერული, ძირისკენ თანაბრად შევიწროებული. ძირი — ბრტყელი. ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე შემოუყვება ამოღარული ზოლი. მხარზე, ნვერით მუცლისკენ მიმართული, სავარცხლისებრი შტამპით შევსებული ამოღარული სამკუთხედიებია გამოსახული (ტაბ. V₇); 3) ქოთანი, მოყავისფრო-მოშავო, კეცი მოყავისფროა, სილანარევი. პირი გადაშლილი ჰქონია, ბაკო — გამოყოფილი, ტანი — ვიწრო, მუცელი ოდნავ გამობერილი, ძირი — ბრტყელი. ყური ყელსა და მხარზე უნდა ჰქონოდა მიძერწილი (ტაბ. V₆); 4) თიხის ჭურჭლის ნატეხები, მოყავისფრო-მოშავოდ გამომწვარი, კეცი გადანატები მოწითალო-მოყავისფროა და სილანარევი. დაშლილია. ზემოაღწერილი ჭურჭლის ანალოგიური უნდა ყოფილიყო; 5) მსგავსი თიხის ჭურჭლის ნატეხები აღმოჩენდა სამარხი ორმოს იატაკზე, აგრეთვე ყრილში (შესაძლოა ორი-სამი ჭურჭლის ნაწილები იყოს).

გათხრების შედეგების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ № 11 სამარხი გაძარცული უნდა ყოფილიყო.

ყორღანი № 8 (2003 წლის № 13) ქვამიწაყრილიანი, ორმოიანია. დაზიანებულია მიწის სამუშაოების შედეგად, შემორჩა მხოლოდ ქვატეხილისგან შედგენილი ყრილის ნაწილი ($3 \times 2,8$ მ) და კამერის ნაშთი ($1,2 \times 0,75 \times 0,25$ მ). კამერა კლდეში ჩაუჭრიათ, მას ოვალისებური მოყვანილობა ჰქონია. იატაკზე შემორჩა 14-16 წლის გოგონას თავის ქალას ნაწილი, რამდენიმე თიხის ჭურჭლის ნატეხი, მოწითალო სარდიონის გამჭოლნახვრეტიანი მძივი. ყორღანი გაძარცულია.

ყორღანი № 9 (16) ქვამიწაყრილიანი და ორმოიანია. დაზიანებულია მიწის სამუშაოების დროს. შემორჩენილი იყო მხოლოდ მომრგვალებული ფორმის დედაქანში გაჭრილი კამერა ($1,9 \times 1,65 \times 0,74$ მ). მიცვალებული დაუკრძალავთ კამერის ცენტრალურ ნაწილში (ოდნავ აღმოსავლეთისკენ), მარცხენა გვერდზე, მის ნინ ცხვრის მთლიანი ჩრინჩხი დაფიქსირდა (ტაბ. VI₁).

ყორღანში აღმოჩნდა: 1) სატევარი ბრინჯაოსი, პატინირებული. ყუნწი ფართო აქვს, ბრტყელი, თავთან ამოღარული, მხრებისკენ გაფართოებული. ტარის დასამაგრებლად სამი თანაბარი მანძილით დაცილებული ნახვრეტი ჰქონდა. წვერისკენ შევიწროვებულია. ქედი ოდნავ შემაღლებულია (ტაბ. VI₅); 2) ქოთანი, მოშავოდ გამომწვარი, პირნაკლული, კეცი გადანატეხში ორფენიანი, სილანარევი, მორუხო-მოშავო და ნაცრისფერი. ყელი – ცილინდრულია, მხრისგან გამოყოფილი, მუცელი – სფერული, ძირისკენ თანაბრად შევიწროვებული, ძირი – ბრტყელი. მხარზე წვერით მუცლისკენ მიმართული ამოღარული ნერტილოვანი ხაზებით შევსებული 12 სამკუთხედია გამოსახული (ტაბ. VI₄); 3) ქოთანი, მოშავოდ გამომწვარი, პირნაკლული. კეცი გადანატეხში ორფენიანი, შიდაპირი ვარდისფერსარჩულიანია. ყელი ცილინდრულია – ძირისკენ გაფართოებული. ყელისა და მხრის შეერთების ადგილზე ამოღარული ზოლი შემოსდევს; მუცელი სფერულია, ძირისკენ თანაბრად შევიწროვებული, ძირი – ბრტყელი. მხარზე წვერით მუცლისკენ მიმართული, ამოღარული ნერტილოვანი ხაზებით შევსებული 14 სამკუთხედია დატანილი (ტაბ. VI₁); 4) ბადია, მოშავო-მოყავისფრო, კეცი გადანატეხში სამფენიანია – სილანარევი, პირმოყრილია, ბაკო გამოყოფილია, მხარი – გამობერილი, ძირისკენ თანაბრად შევიწროვებული, ძირი – ბრტყელი (ტაბ. VI₃); 5). სასმისი (კოჭობი), მოყავისფრო, ხელით ნაძერნი, პირმრგვალია, ვიწრო, ძირისკენ გაფართოებული, ძირი ბრტყელია (ტაბ. VI₇); 6) კოჭობი, მოყავისფრო მოშავო, კეცი გადანატეხში აგურისფერია, სილანარევი, პირი მრგვალია, გადაშლილი, ყელი – დაბალი, გამოყოფილი, მუცელი სფერული, ძირი – ბრტყელი (ტაბ. VI₆); 7) ქოთანი, მოყავისფრო-მოშავო, დაშლილი, კეცი გადანატეხში მოყავისფროა, პირი გადაშლილი ჰქონდა, ბაკო – დაბრტყელებული, ყელი დაბალი და გამოყოფილი, ძირი – ბრტყელი; 8) ქოთანი, მოყავისფრო-მოშავო, კეცი გადანატეხში მოყავისფროა, პირი გადაშლილი ჰქონდა, ბაკო – დაბრტყელებული, ყელი დაბალი და გამოყოფილი, ძირი – ბრტყელი; 9) ხუფი, ბაზალტის, სახელურიანი, ჯამისებური მოყვანილობისაა, ზედაპირი დაბრტყელებული აქვს, სახელური ამოღარულ ქუსლს წააგავს. შესაძლოა სადგარი ან სასრესი იყოს (ტაბ. VI₈); 10) სასაფეთქლე (?) ბრინჯაოსი, პატინირებული, ბოლოები შევიწროვებული აქვს, რკალის d – 3 სმ.; 11) სასაფეთქლე ხვია ბრინჯაოსი (4 ც). წარმოადგენს ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებულ ერთნახევარ როგორც, ბოლოები გახსნილი და ერთმანეთზე გადასული აქვს, d – 1 სმ (ტაბ. VI₁₀); 12), საკინძი ბრინჯაოსი, შემორჩენილია ორი ნატეხი; 13) მძივები, ბრინჯაოსი და სარდიონის, ყელსაბამი უნდა იყოს. შედგება ბრინჯაოს ბორბლისებური მძივებისაგან, რომელთა შორის გარკვეული ინტერვალით ჩართულია მოწითალო სარდიონის 4 მძივი. ყელსაბამის სიგრძე – 16 სმ; ბრინჯაოს მძივის d – 0,3-0,4 სმ; სარდიონის მძივის d – 0,4 სმ. (ტაბ. VI₉); 14) მძივები პასტისა, თეთრი ფერის, ბორბლისებური და სფერული; (ტაბ. VI₁₁);

ტყემლარას ყორღანების ველზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილ სამარხებში დადასტურებული ინვენტარი (შევრონებით შემკული ქოთნები, ბრინჯაოს სატევრები და სხვა) დამახასიათებელია შუა ბრინჯაოს ხანის ფინალური ეტაპის სამარხებისათვის [კალანდაძე 1980: სურ. 18-19; სადრაძე 1990: 657—660; რამიშვილი 2004: 117, სურ. 746] და ზოგადად ძვ.წ. II ათას-

წლეულის შუა ხანებით უნდა დათარიღდეს. აღსანიშნავია, რომ ეს მასალა უფრო მეტად შიდა ქართლის სინქრონულ ძეგლებთან ავლენს მსგავსებას.

ტყემლარას ველზე გათხრილ №Nº 5 და 6, უინვენტარო ყორდანებს შორის გაიწმინდა 24 მ-ის სიგრძისა და 3 მ-ის სიგანე, მიწის ზედაპირიდან ოდნავ ამობურცული, ქვით მოკირნყლული ”ბილიკი”. აღსანიშნავია, რომ მისი ზედაპირი მოფენილი იყო ობსიდიანის იარაღ-ანატკეცებით. ვინ-რო ბილიკი ნადარბაზევის მახლობლად არსებულ № 2 და № 4 ყორდანებსაც აკავშირებს, ასეთივე სურათი ჩანს საპიტიახშოს, კუშჩისა და ზურტაკერტის ყორდანებთანაც [გობეჯიშვილი 1981: 8]. ტყემლარას, ნადარბაზევისა და სხვა ყორდანებს შორის არსებულ ბილიკების შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ისინი მიხვეულ- მოხვეულია, რითაც მკვეთრად განსხვავდებიან თრიალეთში, ნალ-კის წყალსაცავის ტერიტორიაზე არსებული სარიტუალო დანიშნულების გზებისაგან. ტყემლარასა და სხვა ადგილებზე აღმოჩენილი ბილიკები ყორდანებს ერთმანეთთან აკავშირებდა, გზები კი კონკრეტული სამარხი ნაგებობისათვის იყო განკუთვნილი და მათენ სწორ ხაზზე გადაჭიმული, დრომოსისაკენ მიემართებოდა [ნარიმანიშვილი 2003: 9-11].

შუაბრინჯაოს ხანის დასასრულით დათარიღებულ № 8 ყორდანთან 2003 წელს გაითხარა ბილიკის მონაკვეთი. სამწუხაროდ, ამ ყორდანის ყრილი ძლიერ დაზიანებული იყო, ამიტომ, ბილიკისა და ყორდანის ურთიერთკავშირი (ან პირიქით, მათი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობა) ვერ დადგინდა. ამგვარად, სარიტუალო გზებისაგან განსხვავებით, დღეისათვის ამ ”ბილიკების” დანიშნულება და თარიღი გაურკვეველია.

ლიტერატურა

გობეჯიშვილი გ. 1981: ბედენის გორასამარხების კულტურა. თბილისი.

გოგაძე ე. 1972: თრიალეთის ყორდანული კულტურის ქრონოლოგია და პერიოდიზაცია. თბილისი.

კალანდაძე ა. 1980: სამთავრო. წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგანი (= ა. აფაქიძე (რედ.) მცხეთა IV). თბილისი.

მირცხულავა გ., ორჯონიკიძე ა., მინდიაშვილი გ., ჯაფარიძე ო. ადრებრინჯაოს ხანა. – ო. ჯაფარიძე (რედ.), საქართველოს არქეოლოგია, II, 70-215. თბილისი.

ნარიმანიშვილი გ. 2003: სარიტუალო გზები თრიალეთის ყორდანებთან. – ძეგანი, № 2, გვ. 9-23.

ორჯონიკიძე ა. 2002: მტკვარ-არაქსული ტრადიციები ადრეული ყორდანების გავრცელების ხანაში. – ძეგანი, № 9, 23-28.

რამიშვილი ა. 2004: ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები წალვლში. თბილისი.

სადრაძე ვ. 1990: სამთავროს სამაროვნის შუა ბრინჯაოს ხანის ძეგლების ქრონოლოგია-პერიოდიზაცია. – სმამ, 138, №3, 657-660.

ყვავაძე ე. 2003: ტყემლარას გორასამარხის 2002 წლის ნოემბრისა და დეკემბრის თვეებში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად გახსნილი შრეების ნალექთა პალინოლოგიური და პალეოეთნობოტანიკური შესწავლის შედეგები. ხელნაწერი, ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკაში. თბილისი.

შატბერაშვილი ზ. 2003: თეთრინყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოები 2002 წლის ნოემბერ-დეკემბერში. ხელნაწერი, ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკაში. თბილისი.

შატბერაშვილი ზ., ამირანაშვილი ჯ., გოგოჭური გ., მინდორაშვილი დ., გრიგოლია გ., ნიკოლაიშვილი

ვ. 2005: თეთრინყაროს არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოები 2003-2004 წლებში. ხელნაწერი, ინახება ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის ბიბლიოთეკაში. თბილისი.

ჯაფარიძე ოთ. 1961: ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე. თბილისი.

ჯაფარიძე ოთ. 1998: ქართველი ტომების ეთნოკულტურული ისტორიისათვის ძ.ნ. III ათასწლეულში. თბილისი.

Дедабришвили Ш. 1979: Курганы Алазанской Долины (Труды Кахетинской археологической экспедиции, II). Тбилиси.

Кахиани К., Глигвашвили Э., Каландадзе Г., Цквитинидзе З. 1991: О работе экспедиции Машаверского ущелья в 1987 г. – ПАИ в 1987 г., 62-69.

Мунчаев Р. М. 1961: Древнейшие культуры Северного Кавказа. Москва.

Пицхелаури К. Н. 1982: Исследования Кахетской археологической экспедиции. – ПАИ в 1980 г., 17-20.

Жоржикашвили Л., Гогадзе Э. 1974: Памятники Триалети эпохи ранней и средней Бронзы. Тбилиси.

Шатберашвили З. 1997: Результаты работ Марабда-Ахалкалакской экспедиции. – ПАИ в 1988 г., 63-65.

ტაბულების აღნერა

ტაბ. I – 1-5. № 1 ყორლანის ინვენტარი; 6-9. № 2 ყორლანის ინვენტარი.

ტაბ. II – 1, 2. ყორლანი № 4, გეგმა და ჭრილი; 3. ჩაშვებული სამარხის გეგმა; 4. ძირითადი სამარხის გეგმა; 5. ძირითადი სამარხის ჭრილი.

ტაბ. III – 1-8. № 4 ყორლანის ჩაშვებული სამარხის მასალა; 9-14. № 4 ყორლანის ძირითადი სამარხის მასალა.

ტაბ. IV – 1-4. დერგები № 4 ყორლანის ძირითადი სამარხიდან.

ტაბ. V – 1. სამარხი № 10, ჭრილი და გეგმა; 2. სამარხი № 11, ჭრილი და გეგმა; 3-5. № 10 სამარხის ინვენტარი; 6-8. № 11 სამარხის ინვენტარი.

ტაბ. VI – 1. ყორლანი № 9, ჭრილი და გეგმა; 2-11. № 9 ყორლანის ინვენტარი.